ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. ივნისის 5. № 12 ტფილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

**მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა.
სოფლის მეურნეობა.**

71. საქართველოს სსრ შავი ზღვის ნაპირზე კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო მიწებზე ციტრუსოვანი ნარგავების სავალდებულო გაშენების შესახებ.

72. 1936 წლის მოსავლის მზისუმზირის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

**ვაჭრობა. მომარაგება.**

73. კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ 1936 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ

74. 1936 წელს ახალზეთოვანი კულტურებისა და ხუჭუჭა—სელის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

**სოციალური უზრუნველყოფა.**

75. ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილ საზოგადოების წევრებად ნამყოფ პირთათვის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევის შესახებ.

**სასამართლო წყობილება და სასამართლოს წარმოება.**

76. იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

---

## მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

### 71. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ). ც.კ.

**საქართველოს სსრ შავი ზღვის ნაპირზე კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო მიწებზე ციტრუსოვანი ნარგავების სავალდებულო გაშენების შესახებ.**

„საქართველოს სსრ შავი ზღვის ნაპირზე ციტრუსოვანი კულტურების ფართობთა გადიდების ხუთწლიური (1936-1940 წ.) გეგმის შესახებ“ გამოცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსი და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. ნოემბრის 5-ის დადგენილების თანახმად და „1936-1940 წლებში საქართველოს სსრ ციტრუსოვანი კულტურების მეურნეობის განვითარების გეგმის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 1-ლის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს აჭარის ასსრ-ის ბათომის და ქობულეთის რაიონებისა და აფხაზეთის ასსრ-ის გალის, ოჩემჩირის, სოხუმის, გუდაუთის და გაგრის რაიონებისა და აგრეთვე მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ზუგდიდის, ცხაკაიას, ფოთის, ხობის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, მარტვილის და აბაშის რაიონების კოლმეურნეთ და ერთპიროვნულ მეურნეთ გააშენონ თავიანთ საკარმიდამო მიწებზე არა ნაკლებ 25-40 ცალი ციტრუსოვანი ნარგავისა თითო კომლზე.

დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული სია იმ სასოფლო საბჭოების და სოფლებისა, სადაც უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული ღონისძიება (იხ. დანართი 1).

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 1-ის თარიღისა და 617 №-ის დადგენილებით დამტკიცებული ხუთწლიური გეგმა საქართველოს სსრ-ში ციტრუსოვან ნარგავთა გაშენებისა კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო მიწებზე საერთო მოცულობით 6.246 ჰექტარის რაოდენობით (აქედან მანდარინის ნარგავთა—3.277 ჰექტ., ლიმონის ნარგავთა-2.549 და ფორთოხალის ნარგავთა-420 ჰექტ.) განაწილებულ იქნას წლებზე შემდეგნაირად:

**1936 წ.**

| | | |
|---|---|---|
| მანდარინის ნარგავები . . . . . . . | 82,1 | ჰექტარი |
| ლიმონის . . . . . . . . . . | 19,0 | „ |
| ფორთოხალის . . . . . . . . . | 3,0 | „ |
| სულ . | 104,1 | „ |

**1937 წ.**

| | | |
|---|---|---|
| მანდარინის ნარგავები . . . . . | 270,0 | „ |
| ლიმონის . . . . . . . . . | 62,6 | „ |
| ფორთოხალის . . . . . . . . . | 22,5 | „ |
| სულ | 355,1 | „ |

**1938 წ.**

| | | |
|---|---|---|
| მანდარინის ნარგავები . . . . . | 1.096,9 | „ |
| ლიმონის . . . . . . . . | 241,1 | „ |
| ფორთოხალის . . . . . . . . | 98,4 | „ |
| სულ | 1.436,4 | „ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1939 წ.**

| | | |
|---|---|---|
| მანდარინის ნარგავები . . . . | 1.359,15 | ჰექტარი |
| ლიმონის . . . . . . . . | 323,90 | „ |
| ფორთოხალის . . . . . . . | 152,50 | „ |
| სულ | 1.835,55 | „ |

**1940 წ.**

| | | |
|---|---|---|
| მანდარინის ნარგავები . . . . . | 468,85 | „ |
| ლიმონის . . . . . . . . . . . | 1.902,4 | „ |
| ფორთოხალის . . . . . . . . | 143,6 | „ |
| სულ | 2.514,85 | „ |

დამტკიცებულ იქნას ამ გეგმის განაწილება ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებზე და აგრეთვე კულტურებზე ამასთანავე დართული ცხრილის თანახმად (იხ. დანართი 2).

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) აფხაზეთის და აჭარის საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს—მიაწვდინონ ერთი თვის ვადაზე ხუთწლიური გეგმა კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო მიწებზე ციტრუსოვან ნარგავთა გაშენებისა თვითეულ საკოლმეურნეო კომლამდე და ერთპიროვნულ მეურნეობამდე სათანადო სასოფლო საბჭოს და სოფლის მეშვეობით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) უზრუნველყოს, სარაიონო სამიწათმოქმედო ორგანოების მეშვეობით, კოლმეურნეთათვის და ერთპიროვნულ მეურნეთათვის ციტრუსოვანი კულტურების ნერგის თავის დროზე მიწოდება კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სანერგეებიდან;

ბ) უზრუნველყოს მოსახლეობის ინსტრუქტაჟი ციტრუსოვან ნარგავთა ჩაყრისა და მოვლისათვის და აგროტექნიკური წესების შეფარდებისათვის, აგრეთვე გამოსცეს პოპულარული და ილუსტრირებული ინსტრუქცია ციტრუსოვანი კულტურების აგროტექნიკის შესახებ, კერძოდ იმის აღნიშვნით, რომ ციტრუსოვან ნარგავთა ჩაყრისას მანძილი ცალკეულ ხეებს შუა უნდა იყოს არა უმეტეს 3 მეტრისა და რომ უნდა ჩაიყაროს ძირითადად ორწლიანი ნერგი.

5. დაწესებულ იქნას, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1936 წ. აპრილის 1-ის დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად, კოლმეურნენი და ერთპიროვნული მეურნენი თავიანთ საკარმიდამო მიწებზე ციტრუსოვან ნარგავთა ჩაყრის დროს მიიღებენ სახელმწიფოსაგან გრძელვადიან კრედიტს 2 მან. და 50 კაპ. რაოდენობით თვითეულ ნერგზე და დაფარავენ ამ კრედიტს მეექვსე წელს ნარგავთა ჩაყრის შემდეგ.

დაევალოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორას უზრუნველყოს კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა დაუცადებელი დაკრედიტება ფაქტიურად ჩაყრილი ნერგის რაოდენობის შესაბამისად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ლ. ბერია.

1936 წ. აპრილის 15. № 4021.
ტფილისი.

---

დანართი 1

## დანართები

### სია

**იმ სასოფლო საბჭოებისა და სოფლებისა, სადაც კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა საკარმიდამო მიწებზე უნდა გაშენდეს ციტრუსოვანი კულტურები.**

### აჭარის ასსრ

#### ქობულეთის რაიონი.

1. **ხალის სას. საბჭო**—სოფ. დიდიჯამე, ხალა, გორგაძეები.
2. **ჩაქვის სას. საბჭო**—სოფ. ციხისძირი, სტალინის-უბანი, შუაღელე, ულიანოვკა, აჭყავა-ბერინ., აჭყავა-აჭარ., სახალვაშე, ჩაქვი.
3. **დაღვის სას. საბჭო**—სოფ. ზემო-დაღვი, ქვემო-დაღვი, ბობოყვათი, კვირიკე.
4. **ვოროშილოვის სას. საბჭო**—სოფ. ვოროშილოვკა, ახალსოფელი, კინკიშა.
5. **მუხაესტატეს სას. საბჭო**—სოფ. ალამბარი, მუხაესტატე, წყავროკა, ზენითი.
6. **ლეღვის სას. საბჭო**—სოფ. აჭყვის-თავი, ცხრაფონა, სკურა, ლეღვა, წყავროკა.
7. **ქაქუთის სას. საბჭო**—სოფ. ქაქუთი, ნაცხავატევი.
8. **ხუცუბნის სას. საბჭო**—სოფ. ზედა-კვირიკე, ქვედა-კვირიკე, ქვედა-სამება, ხუცუბანი, ღვარა და გელაური.
9. **ქობულეთის სას. საბჭო.**—სოფ. ზედა-სამება,კოხი, ქობულეთი, კონდიდი.
10. **ჭახათის სას. საბჭო.**—სოფ. ჭახათი.

#### ბათომის რაიონი.

1. **მახინჯაურის სას. საბჭო**—სოფ. ყარედერე, მახინჯაური.
2. **ორთა-ბათომის სას. საბჭო**—სოფ. ორთა-ბათომი, ყოროლისთავი, კაპრეშუმი, აგარა.
3. **ახალშენის სას. საბჭო**—სოფ. ზედა-ახალშენი, სამება, ჩილიკიდი, ოჯადიე, ბაზმანიდი.
4. **ურეხის სას. საბჭო**—სოფ. ურეხი, ფერიე, სალიბაური, ფეიზიე, მაჰმუდიე.
5. **კახაბრის სას. საბჭო**—სოფ. კახაბერი, თოლოკაური, თოფალოღლები, ადლიე, მინდა-ანგისა.
6. **კაპანდიდის სას. საბჭო**—სოფ. ხელვაშაური, ზანაკიძეები, ერგე, ქვემო-ჯოჯო, ზემო-ჯოჯო.
7. **გონიის სას. საბჭო**—სოფ. ლარინო,გონია, ყიზილ-თოფრახი, ქურთები, სარფი.
8. **თხილნარის სას. საბჭო**—სოფ. თხილნარი, მახო, ჭარნალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მახარაძის რაიონი.

1. ჯუმათის სას. საბჭო—სოფ ძირი-ჯუმათი, ჯუმათი, იანეთ-ბოგილი.
2. ნატანების სას. საბჭო—სოფ. ქვემო-ნატანები, ზემო-ნატანები.
3. გურიანთის სას. საბჭო—სოფ. კახური, ახალსოფელი, ბაილეთი, ჭანიეთური, ციხის-ფერდი.
4. ძიმითის სას. საბჭო—სოფ. ზედა-ძიმითი, ქვედა-ძიმითი.
5. მთისპირის სას. საბჭო—სოფ. ციხისუბანი, მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა.
6. ნაგომარის სას. საბჭო—სოფ. მაღალი ეწერი, ყანაურა, შვაისნარი, ნაგომარი.
7. ჭანიეთის სას. საბჭო—სოფ. ქაქუთი, ჭანიეთი, ვაშტიალი (ნაწილი).
8. ლიხაურის სას. საბჭო—სოფ. გაღმა-ნიაბაური, გამოღმა-ნიაბაური, ვაშტიალი, კვაჭალათი, აჭი.
9. მერიის სას. საბჭო—სოფ. მერია, გოგორეთი, ხვარბეთი, ნაღობილევი.
10. სილაურის სას. საბჭო—სოფ. სილაური.
11. ცხემლის ხიდის სას. საბჭო—სოფ. ქვედა-უჩხობი, ბაღდადი, ზედა-უჩხობი.
12. ასკანის სას. საბჭო—სოფ. ჭვაბრათი, მზიანი.
13. ბახვის სას. საბჭო—სოფ. მშვიდობაური, შუა-ბახვი, ქვედა-ბახვი.
14. ექადიის სას. საბჭო—სოფ. ექადია.
15. შემოქმედის სას. საბჭო—სოფ. შემოქმედი, ფარტი, გომი, წითელ-მთა.
16. მაკვანეთის სას. საბჭო—სოფ. მაკვანეთი, გოგიეთი.
17. მელექედურის სას. საბჭო—სოფ. გაღმა-მელექედური, გამოღმა-მელექედური.
18. მახარაძის სას. საბჭო—სოფ. მახარაძე, ბოხვაური.
19. ვაკიჯვრის სას. საბჭო—სოფ. ვაკიჯვარი, ფამფალეთი.
20 კონჭკათის სას. საბჭო—სოფ. კონჭკათი, მონასტერ-ჭანიეთური.
21. დვაბზუს სას. საბჭო—სოფ. შუა-დვაბზუ, გაღმა-დვაბზუ, ჭალა.
22. შრომის სას. საბჭო—სოფ. შრომა, ვაკე, ხრიალეთი, მოცვნარი, ორმეთი.
23. თხინვალის სას. საბჭო—სოფ. თხინვალი.
24. მახარაძის სას. საბჭო—სოფ. ქ. მახარაძე, სოფ. მოიდანზე, ზვანი.

## ლანჩხუთის რაიონი.

1. ჯურუყვეთის სას. საბჭო—სოფ. ჯურუყვეთი, ეწერი, ბაღლები.
2. ნიგოითის სას. საბჭო—სოფ. ნიგოითი, ჭყონაგვარა, ჩოლობარგი.
3. ლაშის-ღელის სას. საბჭო—სოფ. ლაიშის ღელე.
4. ქვიანის სას. საბჭო—სოფ. ქვიანი.
5. შუხუთის სას. საბჭო—სოფ. ქვედა-შუხუთი, ზედა-შუხუთი.
6. ქვედა-აკეთის სას. საბჭო—სოფ. ქვედა-აკეთი.
7. მამათის სას. საბჭო—სოფ. მამათი.
8. ზედა-აკეთის სას. საბჭო—სოფ. ზედა-აკეთი, გაგური.
9. ლესა-ჭინათის სას. საბჭო—სოფ. ლესა, ჭინათი.
10. გვიმბრალაურის სას. საბჭო—სოფ. გვიმბრალაური, ჯონჯუათი.
11. აცანის სას. საბჭო—სოფ. აცანა.
12. ნიგვზიანის სას. საბჭო—ნიგვზიანი, არჩეული, ხაჯალია.
13. ლანჩხუთის სას. საბჭო—სოფ. ლანჩხუთი, ორაგვის-ღელე, აგარაკი.
14. მაჩხვარეთის სას. საბჭო—სოფ. მაჩხვარეთი, ორაგვე.
15. ჭანჭათის სას. საბჭო—სოფ. ჭანჭათი.
16. ნინოშვილის სას. საბჭო—სოფ. ყელა, ბულუხაური, ჩანჩეთი.
17. ჩოჩხათის სას. საბჭო—სოფ. გალიანი, წითელი-უბანი, შრომის-უბანი, ხორეთი, მოედანი.
18. ჩიბათის სას. საბჭო—სოფ. ზემო-ჩიბათი, ჭალა, ქვ. ჩიბათი.
19. სუფსის სას. საბჭო—სოფ. წყალ-წმინდა, ღრმა ღელე, ორმეთი, ხიდ-მაღალა, ტაბანათი ახალ-სოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოხატაურის რაიონი.

1. ჩოხატაურის სას. საბჭო—სოფ. ახალსოფელი, შუა-ფარცხმა, ზემო-ფარცხმა.
2. დაბლაციხის სას. საბჭო—სოფ. დაბლა-ციხე, საყვავის-ტყე.
3. ბუკის-ციხის სას. საბჭო—სოფ. ბუკის-ციხე, იანოული.
4. ერკეთის სას. საბჭო—სოფ. ქვემო-ერკეთი, იანოული (ნაწილი).
5. ჩაისუბნის სას. საბჭო—სოფ. ჩაისუბანი, ინტაბუეთი, ვაზიანი.
6. ხიდისთავის სას. საბჭო—სოფ. ხიდისთავი, ზეხობანი, მეწიეთი, ქაქიეთი, ბასილეთი.
7. ზომლეთის სას. საბჭო—სოფ. ზომლეთი, ვანი.
8. ხამების სას. საბჭო—სოფ. ხამება.
9. ძირგანახლების სას. საბჭო—სოფ. ძირ-განახლება.
10. შუა განახლების სას. საბჭო—სოფ. შუა განახლება.

## აბაშის რაიონი.

1. ახალ-აბაშის სას. საბჭო—სოფ. საკაჭარავო, ნოდო, ხაში, დიდი-კვათანა, პატარა-კვათანა, კაპანა.
2. მარნის სას. საბჭო—სოფ. ილორი, გუგუნაყათი, თხმელარი.
3. ილორის სას. საბჭო—სოფ. ქვიშანჭალა, გაუწყინარი, ილორი 1.
4. ნაესაკოს სას. საბჭო—სოფ. ცილორი, კოდორი, ტყვირი, ნაესაკო.
5. ონტოფოს სას. საბჭო—სოფ. პირველი-ონტოფო, მეორე-ონტოფო.
6. ძველი აბაშის სას. საბჭო—სოფ. ძველი აბაშა, კოდორი.
7. ქოლობანის სას. საბჭო—სოფ. ქოლობანი.

## ცხაკაიას რაიონი.

1. ახალსოფლის სას. საბჭო—სოფ. ძობძირი, ისულა.
2. შხეფის სას. საბჭო—სოფ. საქაჩიბაიო, შხეფი, საწულეისკირიო.
3. მენჯის სას. საბჭო—სოფ. ზემო-სალომიო, სახარბედიო, საწულეისკირიო.
4. თეკლათის სას. საბჭო—სოფ. საგვარამიო, 1 თეკლათი
5. ნოსირის სას. საბჭო—სოფ. საოდიშარიო, სასისორიო.
6. ძველი-სენაკის სას. საბჭო—სოფ. ძველი-სენაკი, კოტიანეთი, სორტა.
7. ნოქალაქევის სას. საბჭო—სოფ. ჯიხა, გახომელა.
8. ეკის სას. საბჭო—სოფ. შუა-ეკი, საპაჭკორიო. საცავატაო.
9. უშაფათის სას. საბჭო—სოფ. ლეკოკაიე.
10. ხორშის სას. საბჭო—სოფ. საკურია, ციზეთი, საკანკაო'

## მარტვილის რაიონი.

1. ჯოლო-აბედათის სას. საბჭო—სოფ. ჯოლევი, აბედათი.
2. ხუთსოფლის სას. საბჭო—სოფ. წინა-კვერვე, ბომბოთი, სერგიეთი, ზ. ქაბურთა ქვემო, ნახუნოვო ქვემო.
3. მარტვილის სას. საბჭო—სოფ. სახარებაო, მარტვილი, საელიაო ზ., ნალეფსოვო, ხუნწი, კვაითი.
4. ხუნწის სას. საბჭო—სოფ. ლეციცხვაიე, ქვედა-ხუნწი, ზედა-ხუნწი.
5. ინჩხურის სას. საბჭო—სოფ. ზედა-ინჩხური, ქვედა-ინჩხური, ლებაჩე.
6. გაჭედილის სას. საბჭო—სოფ. სკურდი, გამოღმა თამაკონი.

მუხ 7
ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დიდი-ჭყონის სას. საბჭო—სოფ. ლედგებიე.
8. თამაკონის სას. საბჭო—სოფ. თამაკონი, ღურძემი, ნამიქოლოვო.
9. კიწიის სას. საბჭო—სოფ. ალერტი, მეორე ღურძემი.
10. სალხინოს სას. საბჭო—სოფ. ლეცავე, ლესხულუხუ, ზედა-წაჩხურა.
11 ნაჯახოვო-ნაგიბეროვოს სას. საბჭო—სოფ. ლეძაგანიე, ქვემო-ნაჯახოვო.
12. ონოლიის სას. საბჭო—სოფ. ონოლია.
13. ლეხაინდრაოს სას. საბჭო—სოფ. ლეხაინდრაო.
14. ნაგვაზაოს სას. საბჭო—სოფ. ზემო-ნაგვაზაო.

## ჩხოროწყუს რაიონი.

1. ახუთის სას. საბჭო—სოფ. ლეგერსამე, სავეკუო, საჯალაღანიო, საგამსახურდიო, საკაჭარაო, საჩიტაიო.
2. ჩხოროწყუს სას. საბჭო—სოფ. გარახა.
3. კირცხის სას. საბჭო—სოფ. სამალანიო, საკვირტიის, სანზარიო,. სასახურიო, სარაკონი, ნაშილუ.
4. ხაბუმეს სას. საბჭო—სოფ. ჯუმითი.
5. ლეწურწუმეს სას. საბჭო—სოფ. ნაგვაზუ, ჯუმითი, ლეწურწუმე.
6. ნაფიჩხოვუს სას. საბჭო—სოფ. ლეკობალე, ლეპანსე, ლედარსალე, ობართე, ლებერია, ხანსკი.
7. ჯოლის სას. საბჭო— სოფ. პირველი ჯოჭა, მეორე ჯოლა.
8. მუხურის სას. საბჭო—სოფ. თაია II, მუხური.
9. ნაკიანის სას. საბჭო—სოფ. ლეახალე, ლექარჩე, ნაკიანი.
10. ლესიჭინეს სას. საბჭო—სოფ. ლესიჭინე.

## წალენჯიხის რაიონი.

1. ობუჯის სას. საბჭო—სოფ. ჯალრა, ობუჯი.
2. ფუქის სას. საბჭო—სოფ. ფუქი.
3. ნაკიფუს სას. საბჭო—სოფ. ნაკიფუ.
4. ჯგალის სას საბჭო—სოფ. მედანი, ლარა, ლესალე, ლეთოფურე, კანთი.
5. ფახულანის სას. საბჭო—სოფ. წყავაში, ქალალალი.
6. წალენჯიხის სას. საბჭო—სოფ. ნაზმატუს-უბანი, ლესალეს-უბანი.

## ზუგდიდის რაიონი.

1. ანაკლიის სას. საბჭო—სოფ. ანაკლია.
2. დარჩელის სას. საბჭო—სოფ. დარჩელი.
3. განმუხურის სას. საბჭო—სოფ. განმუხური.
4 ორულე-ერგეტის სას. საბჭო—სოფ. ორულე, ერგეტა.
5 დიდინეძის სას. საბჭო—სოფ. დიდინეძი.
6. ორსანტიის სას. საბჭო—სოფ. ორსანტია.
7. კოკის სას. საბჭო—სოფ. კოკი.
8. კახათის სას. საბჭო—სოფ. კახათი.
9. შამგონის სას. საბჭო— სოფ. შამგონა.
10. ცაიშის სას. საბჭო—სოფ. ცაიში ურთა.
11. ახალსოფლის სას. საბჭო—სოფ. ახალსოფელი, ჯუმი.
12. ოდიშის სას. საბჭო—სოფ. ოდიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ზუგდიდის სას. საბჭო—სოფ. ჯოლეჯიანი, ქ. ზუგდიდი.
14. აბასთუმნის სას. საბჭო—სოფ. აბასთუმანი, ხეცერა,
15. ოქტომბრის სას. საბჭო—სოფ. ოქტომბერი.
16 ჭაქვინჯის სას. საბჭო—სოფ. ჭაქვინჯი.
17 ჭკადუაშის სას. საბჭო—სოფ. ჭკადუაში.
18. კორცხელის სას. საბჭო—სოფ. კორცხელი, ნაცატუ.
19. ზედა-ენწერის სას. საბჭო—სოფ. ზედა-ენწერი.
20. ჯიხაშკარის სას. საბჭო—სოფ. ჯიხაშკარი.
21. ტყაია-ბეჯგას-ლალის სას. საბჭო—სოფ. ჩხორია, ტყაია.
22. რიყეს სას. საბჭო—სოფ რიყე.
33. ყულისკარის სას. საბჭო—სოფ. ყულისკარი.
24. რუხის სას. საბჭო—სოფ. რუხი ნიკოსია.
25. ჭითაწყარის სას. საბჭო—სოფ. ჭითაწყარი, ოირემე.
26. ნარაზენის სას. საბჭო—სოფ. ნარაზენი.

## ხობის რაიონი.

1. პირველი მაისის სას. საბჭო—სოფ. პირველი მაისი.
2. ხობის სას. საბჭო—სოფ. გურიფული 1, გურიფული 2, ნოჯი-ხევი, ჯიხუ, ხობი 2.
3. ხეთის სას. საბჭო—სოფ. ლარჩვა, წინა-ღოლა.
4. ხამისკურის სას. საბჭო—სოფ, ხამისკური.
5. თორსა დღვაბის სას. საბჭო—სოფ. თორსა დღვაბა.
6. ხორგის სას. საბჭო—სოფ. გაღმა-ხორგა, გამოღმა-ხორგა.
7. შუა ხორგის სას. საბჭო—სოფ. შუა-ხორგა.
8. ქარიატის სას. საბჭო —სოფ. ქარიატა.
9. ქვალონის სას. საბჭო—სოფ. შუა-ქვალონი, ზემო-ქვალონი, ჭითა-უშკური.
10. ქვ.-ქვალონის სას. საბჭო—სოფ. ქვემო-ქვალონი.
11. ბიის სას. საბჭო—სოფ. ბია.
12. საჯიჯაოს სას. საბჭო—სოფ. ჯაფიშაქარი, ზენი.
13. ახალხიბულის სას. საბჭო—სოფ. ზუმი, გაშფერდი.
14. ძველი ხიბულის სას. საბჭო—სოფ. ძველი ხიბულა.

## აფხაზეთის ასსრ

## გაგრის რაიონი.

1. მიქელრიფშის სას. საბჭო—სოფ. ლაშინდაკი, მიკელრიფში, ყაზარმა, შურინოვო, დემერჩეცგიუხი.
2. სალმეს სას. საბჭო—სოფ. სალმე, სულევო, კულტურჩასტკი.
3. პილენკოვოს სას საბჭო—სოფ. პილენკოვო, I კვარტ., II კვარტ., III კვარტ., IV კვარტ., მე-IV კვარტ.—№ 1, № 2, მე-V კვარტ., ერმოლოვკა, ბარონოვო, შაფრანოვო, „ჩერნოსლივი“.
4. ხოშუფსეს სას. საბჭო—სოფ. ცერკოვნო-კოვალევსკოე № 1 და № 2, ხოშუფსე.
5. მაჭადირის სას. საბჭო—სოფ. ოტლუკი, მაჭადირი ქვ., მაჭადირი ზ., ვოსემსოტ, როგოჟინო.,
6. ხოლოდნორეჩკის სას. საბჭო—სოფ. ორეხოვკა, გრებეშოკი ქვ., ჩიგირიფში, ხოლოდნაია-რეჩკა ქვემო.
7. ქრისტოფოროვის სას საბჭო —სოფ. ქრისტოფოროვო, აჩმარდა.
8. ახალ გაგრის სას. საბჭო—სოფ. ხუტორი, ალპიისკოე, აგურის ქარხანა, ტექნიკუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. კოლხიდის სახ. საბჭო—სოფ. კოლხიდა ქვ. და ზ., კოლხიდა შუა, შადრევანი, წითელ[illegible]რი, ქართველების ხეობა, სომხების ხეობა.
10. ალაჰაძის სახ. საბჭო—სოფ. ალაჰაძი.
11. კოლდახვარის სახ. საბჭო—სოფ. არმიანსკოე ქვ., არმიანსკოე ზ., არასიმზა, ბგაბორტა,, ათიძტა.

## ოჩემჩირის რაიონი.

1. კინდღის სახ. საბჭო—სოფ. ახუაა.
2. აძიუბჟის სახ. საბჭო—სოფ. წყურგილე, კუდირ-ხუკი, ახუაა ქვ., აძიუბჟა, ჯობერია, აგდრა-ბალანი, ახუაა ზ.
3. ათარა-აფხაზების სახ. საბჭო—სოფ. ნახურზოუ, ათარბა-იხუსტა, ნაა-აფხ.
4. ათარა სომხების სახ. საბჭო—სოფ. ათარა-ქვ., ნაა-სომხ., კრიკლუკი, მანდარა, ათარა შუა.
5. ლაბრის სახ. საბჭო—სოფ. ლაკობა, სერთი ქვ., ჭილოუ ზ.
6. ჯღერდის სახ. საბჭო-სოფ. ჯირგული, ბურჩხი, დგამიში.
7. ღვადის სახ. საბჭო—სოფ. აბაჟ-ახუ, ჯირგული, ღვადა.
8. კუაჩარის სახ საბჭო—სოფ. ჭილოვუ, ქეთუვანი, ლაბრა.
9. აკვასკეს სახ. საბჭო—სოფ. აკვასკე, ზაგანი.
10. თხინის სახ. საბჭო—სოფ. აგუაა, აბააჟ-ახუ, ახუაა.
11. ჯალის სახ. საბჭო—სოფ. ჯალი, ანდროუ, არაჟპარა, აკდრა, ლაგანიახუ.
12. მერკულის სახ საბჭო—სოფ. არადუ, მერკულა.
13. რეკის სახ. საბჭო—სოფ. საჩინო, რეკა.
14. გუფის სახ. საბჭო—სოფ. ფადლუ, ჩხორთოლი ზ., ჩხორთოლი.
15. ბესლახუბის სახ. საბჭო—სოფ. ბესლახუბა.
16. მოქვის სახ. საბჭო—სოფ. ჯალაჯუა, მოქვი, აძიუბჟარა.
17. 1 ბედიის სახ. საბჭო—სოფ. ნოჯიხევი, კოპიტი 2.
18. აგუ-ბედიის სახ. საბჭო—სოფ. მიშველი, ახეცარა, ამხანაგობა, აგუბედია.
19. ფოქვეშის სახ. საბჭო—სოფ. ურთა, ფოქვეში, აგუაა.
20. ილორის სახ. საბჭო—სოფ. ილორი, ოხურეი.
21. თამიშის სახ. საბჭო—სოფ. აგუა.

## სოხუმის რაიონი.

1. კონსტანტინოვკის სახ. საბჭო—სოფ. კონსტანტინოვკა, პავლოვკა, ლინდაუ ქვ.
2. ეშერა-აფხაზების სახ. საბჭო—სოფ. მესამე ინტერნაციონალი, ლაკობა ქვ.
3. ეშერა-სომხების სახ. საბჭო—სოფ. მე-3 ინტერნაციონალი, ლაკობა ქვ.
4. პოლტავა-ანასტას. სახ. საბჭო—სოფ. ნიკოლაევკა, ანასტასიევკა, ჩერნიგოვკა, ნაა-სომხების.
5. დრანდის სახ. საბჭო—სოფ. ფშაფი ზ., დრანდა, უარჩე, ბაბუშერა, ფშაფი ქვ., შაუმიანოვკა.
6. ვლადიმიროვკის სახ. საბჭო—სოფ ვლადიმიროვკა, ესტონსკოე, ხუმუშკური.
7. გულრიპშის სახ. საბჭო—სოფ. მაჯარკა გულრიფში ზ., გულრიფში ქვ., ბაგავიაშტა II, ბაგავიაშტა I, ფშაფი, ალექსეევკა.
8. მერხეულის სახ. საბჭო—სოფ. მერხეული, ჩერნიგოვკა ქვ., ბალმარანი, მერხეული ზ., მერხეული ქვ.
9. ოლგინსკოეს სახ. საბჭო—სოფ. ოლგინსკოე, პოლტავა-ქართველების.
10. ანდრეევსკოეს სახ. საბჭო—სოფ. დერექეი, ანდრეევსკოე.
11. ვოლოდარსკოეს სახ. საბჭო—სოფ. ბირცხა ქვ., ვოლოდაროვკა, წითელი ბესლეთკა, კელასური, გნადენბერგი, ბესლეთკა 2, ნეიდორფი, ალექსეევკა.
12. მიხაილოვკის სახ. საბჭო—სოფ. მიხაილოვკა, კამანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. ეკატერინეს სახ. საბჭო—სოფ. მარინსკოე, ეკატერინოვკა, ალექსანდროვკა, აკაპაკელაშური, სვობოდნაია-გვარდა, ლინდაუ ზ.

14. გუმისტის სახ. საბჭო—სოფ. ლეჩკოპი, გუმისტა, ქვემო იაშტუხი, აჩადარა, სვაბოდა 2, წითელი იაშტუხი, წითელი მაიაკი.

15. წებელდის სახ. საბჭო—სოფ. რეინგარდტი, პლანეტა, ქვ. ლემსა, თოფჩიანოვკა, პატ. კრაევიჩი, ზახაროვკა, მაზარ-ხაჩტური, კასიანოვკა, კრასნიცკოე, მინგრელოვკა.

## გუდაუთის რაიონი.

1. ფსირცხის სახ. საბჭო—სოფ. ბატრაცკოე, ფსირცხა ბერძნების, წითელი ფსირცხა, ოქტომბრის ფსირცხა, საბჭოთა ფსირცხა, შუა ფსირცხა.

2. აბგარხუკის სახ. საბჭო—სოფ. თასრაყუა, ცოუხუა, ბალიქითა, აბახუაწა, ლადარია, ბაზიქითა.

3. აჩანდარის სახ. საბჭო—სოფ. კიბიურითა, წვინდირთა, ძიბზირი, აუსირხუა.

4. კავაკლუკის სახ. საბჭო—სოფ. კანტორა, სანგვარტა, რიაფში, კავაკლუკი I, კავაკლუკი II.

5. მწარის სახ, საბჭო—სოფ. სტალინი, ვოროშილოვკა, შაუმიანი, ნორგიანი, ლენპუტი.

6. კულანურხვის სახ. საბჭო—სოფ. აბგაუერა, თასრაყუა, კაფში, თამკუაჩ-იგუერა.

7. ლიხნის სახ. საბჭო—სოფ. ბომბორა, აძლაგარა-ხუკი, ალგითი, აძლაგარა, ხეცკურა, აჯიმჩიგრა.

8. ზვანდრიფშის სახ საბჭო—სოფ. არაშახუ, აკვასკიამწა, ალაჭაშახუ, ხიფსტა, ვოროშილოვი, აფსარხუ, ლაკობა.

9. ლიძაას სახ. საბჭო—სოფ. ძირთა, ასიჩკუა.

10. ბლაბურხვის სახ. საბჭო—სოფ. ჩერქეზ-იხუ, ცოუხუა, შლარა, ანხაშტუკი, აგუაუერა.

11. აცის სახ. საბჭო—სოფ. ბინთხა, კუტიძრა, არაშახუ, ალრა.

12. ანუხვა სომხების სახ საბჭო—სოფ. ქარხანა I, ქარხანა II, ანუხვა შუა, ჩობანლუკი, ბარინცაცი, ქალმუდი, ანუხვა ზ.

13. პრიმორსკის სახ. საბჭო—სოფ. პეტროპავლოვკა.

14. ანუხვა-აფხაზების სახ. საბჭო—სოფ. ანუხვა აფხაზების.

15. ბარმიშის სახ. საბჭო—სოფ. მაზიხუა, აჟჭაჭარა.

16. მუგუძირხვის სახ. საბჭო—სოფ. გუიუნირხუა, აფცხუა.

17. ოთხარის სახ. საბჭო—სოფ. მამიჯირხუა, გარფი.

18. ჯირხვის სახ. საბჭო—სოფ. ახუწა, ხუდაარა, აკუაყარხუ.

## გალის რაიონი.

1. ოტობაიის სახ. საბჭო—სოფ. ოტობაია.

2. ფიჩორის სახ. საბჭო—სოფ. ფიჩორა.

3. წარჩეს სახ. საბჭო—სოფ. წარჩე.

4 გალის სახ. საბჭო—სოფ. გალის I.

5. ცხირ-გალის სახ. საბჭო—სოფ. ცხირი, გალი.

6. ჭუბურხინჯის სახ. საბჭო—სოფ. ჭუბურხინჯი.

7. რეჩხ-ცხირის სახ. საბჭო—სოფ. ცხირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. რეფ-შეშეთის სას. საბჭო—სოფ. შეშელეთი.
9. ნაბაკიის სას. საბჭო—სოფ. ნაბაკის.
10. ოქუმის სას. საბჭო—სოფ. ოქუმი.
11. თაგილონის სას. საბჭო—სოფ. თაგილონი.
12. ლუმურიშის სას. საბჭო—სოფ. ლუმურიში.
13. მუხურის სას. ხაბჭო—სოფ. მუხური.

## ფოთის რაიონი.

1. ჭალადიდის სას. საბჭო—სოფ. საბაჟო, საჩოჩუო, საქორქიო, სალვამიჩაო, სახვიჩიო.
2. ბატარა ფოთის სას. საბჭო—სოფ. პატარა ფოთი.
3. ყულევის სას. ხაბჭო—სოფ. ყულევი.
4. ქ. ფოთის სას საბჭო— ქ. ფოთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ უ თ წ ლ ი უ

შავი ზღვის ნაპირზე კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურ-
ბისა (რაიონებისა, კულტურ

| რაიონები | 1936 წ. გაშენების გეგმა | | | | 1937 წ. ჯაშენების გეგმა | | | | 1938 წ გაშენე- | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მანდ. | ლიმონი | ფორთოხალი | სულ | მანდ. | ლიმონი | ფორთოხალი | სულ | მანდ. | ლიმონი |
| 1. ბათუმის რ. . . | 4 | — | — | 4 | 30 | 3 | 3 | 36 | 175 | 31 |
| 2. ქობულეთის . | 3 | 2 | — | 5 | 10 | 9 | 5 | 24 | 106 | 5 |
| **სულ აჭარის ასსრ-ში** | **7** | **2** | **—** | **9** | **40** | **12** | **8** | **60** | **281** | **36** |
| 3. გალის რ. . . | 3 | — | — | 3 | 10 | 3 | — | 13 | 62 | 14 |
| 4. ოჩემჩირის . . | 4 | — | — | 4 | 9 | 3 | 1 | 13 | 20 | 6 |
| 5. სოხუმის . . . | 6 | 2 | 1 | 9 | 18 | 10 | 3 | 31 | 72 | 43 |
| 6. გუდაუთის . . | 3 | 2 | 1 | 6 | 26 | 4 | 2 | 32 | 110 | 20 |
| 7. გაგრის . . . | 2 | 3 | 1 | 6 | 6 | 3 | 3 | 12 | 26 | 20 |
| **სულ აფხაზეთის ასსრ-ში . . . .** | **18** | **7** | **3** | **28** | **69** | **23** | **9** | **101** | **290** | **103** |
| 8. მახარაძის . . | 10 | 3 | — | 13 | 30 | 5 | 4 | 39 | 52 | 25 |
| 9. ლანჩხუთის . . | 8,6 | 2 | — | 10,6 | 23,8 | 5,1 | 0,5 | 29,4 | 90 | 23 8 |
| 10. ჩოხატაურის . | 1 | -- | — | 1 | 3,9 | — | — | 3,9 | 12,3 | 0,8 |
| 11. ზუგდიდის . . | 6 | 4 | — | 10 | 11,5 | 8,5 | — | 20 | 58 | 13 |
| 12. ცხაკაიას . . . | 7 | — | — | 7 | 24 | 2 | — | 26 | 72 | 6 |
| 13. ფოთის . . . | 5 | 1 | — | 6 | 25 | 7 | 1 | 33 | 119 | 32 |
| 14. ხობის . . . . | 3 | — | — | 3 | 10,5 | — | — | 10,5 | 38 | 1 |
| 15. ჩხოროწყუს . | 9 | — | — | 9 | 13,5 | — | — | 13,5 | 29,1 | — |
| 16. წალენჯიხის . | 3,5 | — | — | 3,5 | 7 | — | — | 7 | 13 | — |
| 17. მარტვილის . | 2 | — | — | 2 | 7 | — | — | 7 | 21,5 | — |
| 18. აბაშის . . . | 2 | — | — | 2 | 5 | — | — | 5 | 21 | — |
| **სულ საქართველოში** | **82,1** | **19** | **3** | **104,1** | **270** | **62,6** | **22,5** | **355,1** | **1,096,9** | **241,1** |

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“

დანართი 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი გეგმა

ნეთა საკარმიდამო მიწებზე ციტრუსოვანი ნარგავების გაშენე-
ბისა და წლების მიხედვით).

| ბის გეგმა | | 1939 წ. გაშენების გეგმა | | | | 1940 წ. გაშენების გეგმა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფორთოხალი | სულ | მანდ. | ლიმონი | ფორთოხალი | სულ | მანდ. | ლიმონი | ფორთოხალი | სულ |
| 41 | 247 | 195 | 74 | 63 | 332 | — | 510 | 66 | 576 |
| 9 | 120 | 82 | 27 | 10 | 119 | — | 259 | 10 | 269 |
| **50** | **367** | **277** | **101** | **73** | **451** | — | **769** | **76** | **845** |
| — | 76 | 75 | 30 | -- | 105 | 6 | 85 | — | 91 |
| 1 | 27 | 67 | 10 | 2 | 79 | 2 | 21 | 6 | 29 |
| 20 | 135 | 104 | 30 | 21 | 155 | — | 220 | 20 | 240 |
| 3 | 133 | 96 | 30 | 5 | 131 | — | 144 | 4 | 148 |
| 6 | 52 | 46 | 20 | 10 | 76 | 4 | 204 | — | 208 |
| 30 | 423 | 388 | 120 | **38** | 546 | 12 | 674 | **30** | **716** |
| 2 | 79 | 65 | 29 | 8 | 102 | 5 | 49 | 1 | 55 |
| 4,4 | 118,2 | 117,7 | 23,8 | 5,3 | 146,8 | 46,6 | 157,5 | 6,1 | 210,2 |
| — | 13,1 | 15,15 | 1,5 | — | 16,65 | 22,65 | 67 | — | 29,65 |
| 2 | 73 | 116 | 15 | 6,6 | 137,6 | 82,5 | 73,5 | 6,5 | 162,5 |
| 1 | 79 | 90,7 | 7 | 2 | 99,7 | 100 | 35 | 2 | 137 |
| 7 | 158 | 140 | 23 | 12 | 175 | 47,1 | 119,4 | 14,5 | 181 |
| 0,5 | 39,5 | 46,3 | 1,6 | 2,6 | 50,5 | 54 | 8 | 1 | 63 |
| — | 29,1 | 28,3 | 1 | — | 29,3 | — | 3 | — | 3 |
| — | 13 | 14 | — | 2 | 16 | 10,5 | — | 3 | 13,5 |
| 0,5 | 22 | 28,5 | — | 2 | 30,5 | 38,5 | 3,5 | 1,5 | 43,5 |
| 1 | 22 | 32,5 | 1 | 1 | 345 | 50 | 3,5 | 2 | 55,5 |
| **98,4** | **1,436,4** | **1.359,15** | **323,90** | **152,5** | **1.835,55** | **468,85** | **1.902,4** | **143,6** | **2.514,85** |

90 №-ში 1936 წ. აპრილის 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 72. დადგენილება ს.ქ.ს.

### 1936 წლის მოსავლის მზისუმზირის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

„1936 წლის მოსავლის მზისუმზირის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ" გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის 1936 წლის მარტის 27-ის თარიღის და 1104 №-ის დადგენილებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის აპრილის 8-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას გეგმა 1936 წლის მოსავლის მზისუმზირის სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციისა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში 9.150 ცენტნერის რაოდენობით, შემდეგი განაწილებით რაიონებზე:

| | | |
|---|---|---|
| გურჯაანის რაიონში . . . . . . . . | 1.550 | ცენტნერი |
| სიღნაღის „ . . . . . . . . | 6.050 | „ |
| ლაგოდეხის „ . . . . . . . . | 440 | „ |
| ყარაიის „ . . . . . . . . | 160 | „ |
| საგარეჯოს „ . . . . . . . . | 950 | „ |

2. დაწესებულ იქნას მზისუმზირის კონტრაქტაციით ჩაბარების შემდეგი საშუალო ნორმები ჰექტარზე: კოლმეურნეობებისათვის—1,3 ცენტნერი, ერთპიროვნული მეურნეობებისათვის—1,5 ცენტნერი.

3. დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—არა უგვიანეს 1936 წლის აპრილის 25-ისა მიაწვდინოს კოლმეურნეობებამდე და სოფლის საბჭოებამდე მზისუმზირის კონტრაქტაციის გეგმები. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა საქართველოს სსრ-ში მეთვალყურეობა გაუწიოს მზისუმზირის გეგმების მთესველებამდე მიწვდენას ამა დადგენილებით განსაზღვრულ ვადაზე.

4. მზისუმზირის კონტრაქტაციის ჩატარება დაეკისროს „ზაგოტზერნოს" საქართველოს კონტორას—გურჯაანის, სიღნაღის, ლაგოდეხის და საგარეჯოს რაიონებში და „ცეკავშირს"—ყარაიის რაიონში („ზაგოტზერნოს" საქართველოს კონტორასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე).

5. დაევალოს „ზაგოტზერნოს" საქართველოს კონტორას და „ცეკავშირს" დაამთავრონ მზისუმზირის მთესველებთან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადებისათვის საჭირო მუშაობა არა უგვიანეს 1936 წლის მაისის 10-ისა.

6. დატოვებულ იქნას 1936 წლისათვის მზისუმზირის სადამზადებლო ფასი იმ სადამზადებლო ფასის დონეზე, რაც დაწესებული იყო 1935 წლის მოსავლისათვის.

7. მიენდოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში—დაუგზავნოს რაიონებს ინსტრუქცია ამ დადგენილების განხორციელების წესის შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მეზუკე.

1936 წ. აპრილის 17. № 397.
ტფილისი.

---

## ვაჭრობა. მომარაგება.

### 73. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ (ბ). ც.კ.

**კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ 1936 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.**

შესაბამისად სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 27 თებერვლის დადგენილებისა „სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ბრინჯის, მზესუმზირის და კარტოფილის სავალდებულო ჩაბარებისა და კოლმეურნეობათათვის მარცვლეულისა და მზესუმზირის ჩაბარების ნორმების შემცირების შესახებ“, საქართველოს სახკომსაბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. დატოვებულ იქნას 1936 წლისათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების მხრივ კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების 1935 წელს მოქმედი წესი და ვადები.

2. 1936 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების რაიონობრივი ნორმების შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის 1936 წლის 4 მარტის დადგენილების საფუძველზე, დამტკიცდეს საქართველოს სსრ-ში კოლმეურნეობებისა და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეობებისათვის 1936 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსთვის მარცვლეულის ჩაბარების ქვემოაღნიშნული რაიონობრივი ნორმები შემდეგი ანგარიშით: საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურების დაწესებული გეგმის თითო ჰექტარზე კილოგრამობით (იხ. დანართი):

3. აეკრძალოს ხელისუფლების უკლებლივ ყველა ორგანოს, მათ შორის დამამზადებელ ორგანიზაციებსაც, დააწესონ კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის სახელმწიფოსთვის მარცვლეულის ჩაბარების შემხვედრი გეგმები და გაფრთხილება მიეცეს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციას, რომ შემხვედრი გეგმების დაწესებაში დამნაშავე პირები მიცემულ იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

.4 დაევალოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და საქართველოს სსრ რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს არაუგვიანეს 1936 წლის 25 აპრილისა ჩააბარონ კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის (კულტურების მიხედვით) ჩაბარების ვალდებულებანი, ამ ვალდებულებათა შესრულების ვადების აღნიშვნით.

დანართი

| რაიონების დასახელება | კოლმეურნეობანი, რომ მომს. უწევენ სამ. სატრ. სადგურები | | კოლმეურნეობანი, რომ. მომს. არ უწევენ სამ.-სატრ. სადგურები | | ერთპიროვნული მეურნეობანი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ყველა მარცვლეული | მათ შორის ხორბლისა | ყველა მარცვლეული | მათ შორის ხორბლისა | ყველა მარცვლეული | მათ შორის ხორბლისა |
| ახალქალაქი . . . . . . | 40 | 45 | 60 | 60 | 80 | 90 |
| ახალციხე . . . . . . | — | — | 60 | 60 | 70 | 80 |
| ხაშური . . . . . . . | 40 | 50 | 60 | 65 | 80 | 90 |
| გორი . . . . . . . | 40 | 50 | 70 | 70 | 90 | 100 |
| კასპი . . . . . . | 30 | 40 | 60 | 60 | 70 | 80 |
| გურჯაანი . . . . . . | 40 | 45 | 60 | 60 | 80 | 90 |
| სიღნაღი . . . . . . | 60 | 65 | 70 | 80 | 100 | 120 |
| თელავი . . . . . . . | 40 | 45 | 60 | 60 | 80 | 90 |
| ყვარელი . . . . . . | 50 | 55 | 80 | 80 | 110 | 100 |
| ლაგოდეხი . . . . . . | 50 | 50 | 90 | 90 | 110 | 120 |
| ტფილისი . . . . . . | 40 | 45 | 60 | 60 | 70 | 80 |
| ბორჩალო . . . . . . | 30 | 30 | 60 | 60 | 80 | 90 |
| ლუქსემბურგი . . . . . | 50 | 55 | 70 | 75 | 80 | 90 |
| აღბულაღი . . . . . . | 40 | 45 | 60 | 65 | 70 | 80 |
| საგარეჯო . . . . . . | 40 | 50 | 60 | 60 | 80 | 90 |
| სამხრეთ-ოსეთი . . . . . | 40 | 50 | 60 | 65 | 70 | 80 |

5. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა საქართველოს სსრ-ში 3 დღის ვადაში მისცეს მითითებანი რაიაღმასკომებს და დამზადებათა კომიტეტის რაიონულ რწმუნებულებს ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ლ. ბერია.

1936 წ. აპრილის 8.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 81 №-ში 1936 წ. აპრილია 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 74. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ). ც. კ.

### 1936 წელს ახალზეთოვანი კულტურებისა და ხუჭუჭა-სელის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

„ახალზეთოვანი კულტურებისა და ხუჭუჭა-სელის კონტრაქტაციის გეგმის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 17-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნას გეგმა 1936 წლის მოსავლის ახალზეთოვანი კულტურებისა და ხუჭუჭა-სელის სავალდებულო სახელმწიფო კონტრაქტაციისა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში შემდეგი რაოდენობით (ცენტნერობით):

| | ს უ ლ | აქედან სახჯიშფონდის |
|---|---|---|
| სოია (უნატურსასყიდლოდ) | 64000 | 1710 |
| არახისი . . . . . . . . . | 2925 | 2925 |
| პერილა . . . . . . . . . | 1200 | 480 |
| ხუჭუჭა-სელი . . . . . . | 1615 | — |

2. დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართული გეგმა ახალზეთოვანი კულტურებისა და ხუჭუჭა-სელის კონტრაქტაციისა და ჩაბარების საშუალო ნორმები 1 ჰექტარზე ცალკეული რაიონების და სექტორების მიხედვით [იხ. დანართი—გვ. 168].

3. დაევალოთ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის რაიონულ კომიტეტებს არა უგვიანეს 1936 წლის აპრილის 30-სა მიაწვდინონ ახალზეთოვანი კულტურებისა და ხუჭუჭა-სელის კონტრაქტაციის გეგმები კოლმეურნეობებამდე და სოფლის საბჭოებამდე. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა საქართველოს სსრში მეთვალყურეობა გაუწიოს ახალზეთოვან კულტურების და ხუჭუჭა-სელის გეგმების მთესველებამდე მიწვდენას ამ დადგენილებით დაწესებულ ვადაზე.

4. დაეკისროს ახალზეთოვანი კულტურების და ხუჭუჭა-სელის კონტრაქტაციის ჩატარება საკავშირო შენაერთის „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორას და „ცეკავშირს“ („ზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორასთან დადებულ ხელშეკრულების საფუძველზე), ხოლო ჯიშიან ნათესებისა—მეთესლეობის კოლმეურნეობებში „სახჯიშფონდის“ საქართველოს კონტორას.

5. დაევალოს „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორას, „ცეკავშირს“ და „სახჯიშფონდის“ საქართველოს კონტორას საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების დადებისათვის საჭირო მუშაობა დაამთავრონ არა უგვიანეს 1936 წლის მაისის 15-ისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაწესებულ იქნას 1936 წელს ფულადი ავანსების მიცემა კოლმეურნე-ობებისათვის ყოველ დაკონტრაქტებულ ცენტნერზე შემდეგი რაოდენობით: სოიაზე—20 მან., არახისზე—80 მან., პერილაზე—30 მან. და ხუჩუჩა-სელზე—20 მან.

ფულადი ავანსები გაიცეს ორ ვადაზე: 50%—საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებზე ხელის მოწერისას, დანარჩენი 50%—პირველი გათოხნის ჩატარების შემდეგ.

7. დატოვებულ იქნას 1936 წელს კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის, სოიას, არახისის და პერილას ჩაბარების გეგმების გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში იმ პრემია-წანამატების მიცემა, რაც მოქმედობდა 1935 წელს და დადგენილ იქნას პრემია-წანამატის მიცემის ასეთივე წესი და რაოდენობა ხუჩუჩა-სელის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

8. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში მიაწოდოს ახალზეთოვანი კულტურებისა და ხუჩუჩა-სელის რაიონებს ინსტრუქცია ამ დადგენილების გატარების წესის შესახებ.

საქ. სსრ ს-კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ. პ (ბ) ც. კ-ის მდივანი ლ. ბერია.

1936 წ. აპრილის 15. № 574.

ტფილისი.

---

# სოციალური უზრუნველყოფა

## 75. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფ პირთათვის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევის შესახებ.**

„პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ლიკვიდაციის წესისა და ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთათვის შემდგომი დახმარების გაწევის ფორმების შესახებ“, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1935 წ. აგვისტოს 17-ის დადგენილებისა და „ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფი ძველი ბოლშევიკებისათვის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის გაწევის შესახებ“, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1935 წ. აგვისტოს 5-ის დადგენილების შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

## I.

შეენარჩუნოთ იმ პირთ, რომელნიც ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ირიცხებოდნენ, შემდეგი შეღავათები:

1. პერსონალური პენსია ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფ პირებს ენიშნებათ პერსონალური პენსიების დებულების მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-3 №-ი, მუხ. 47).

2. სამკურნალო-საკურორტო დახმარება ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფ პირებს, რომელთაც ესაჭიროებათ სპეციალური მკურნალობა, უნდა გაეწიოს სამკურნალო კომისიის მეშვეობით.

3. ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფი პირნი და მათი ოჯახნი ნაციონალიზებულ, მუნიციპალიზებულ და კერძო მფლობელთა სახლებში, აგრეთვე უწყებებსა, დაწესებულებებსა და წამოწყებებზე მიმაგრებულ სახლებში დაჭერილი საცხოვრებელი ფართობის ქირას იხდიან ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში მოქმედი საბინაო ტარიფის 10%-დან 50-%-მდე დაკლებით.

ამ მონაკლების რაოდენობას აწესებენ საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები.

4. ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფი პირნი კომუნალური მომსახურეობის (წყლის მიწოდება, კანალიზაცია, ელექტრო ენერგია განათებისა და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, საქალაქო სამრეცხველოებით, აბანოებით და სხვა მისთ. სარგებლობა, საქალაქო რკინის გზებით და ავტობუსებით სარგებლობა) სასყიდელს იხდიან ადგილობრივი საბჭოების მიერ დაწესებული შეღავათიანი ტარიფების მიხედვით.

**შენიშვნა.** ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ სრულიად გაანთავისუფლონ ამა მუხლში აღნიშნული პირნი მთლად კომუნალური მომსახურეობის ან ზოგიერთი მისი დარგის სასყიდლისაგან.

5. ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრებად ნამყოფ პირთ უფლება აქვთ უფასოდ შევიდნენ ყველა სახელმწიფო მუზეუმსა, გამოფენასა, ბაღსა და სხვა ამგვარ კულტურულ დაწესებულებაში, ხოლო სახელმწიფო თეატ-

რებსა, ცირკებსა და კინოში შესვლისათვის მათ ეთმობათ ბილეთის ფასის 50 პროცენტი.

6. ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა ყოფილი საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა ყოფილი საზოგადოების წევრთა შვილები, რომელნიც მათ რჩენაზე არიან, რიგს გარეშე მიიღებიან უმაღლეს სასწავლებლებსა, ტექნიკუმებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ქონებულ ადგილებსა და სტიპენდიებზე და გახთავისუფლდებიან სწავლის სასყიდლისაგან.

II

7. პირველი და მეორე კარი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა „ყოფილ პოლიტკატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებისა და ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრების შეღავათების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 223 და 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 33) გაუქმებულ იქნას.

III

8. ამ დადგენილების მე-II კარის შესაბამისად შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 3-ის დადგენილებაში „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“:

ა. მე-5 მუხლის „გ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 223) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[5. სატრანსპორტო საშუალებათა გადასახადისაგან განთავისუფლდება:]

„გ) შრომის გმირის სატრანსპორტო საშუალება, უკეთუ იგი გამოიყენება მარტოოდენ შრომის გმირისა და მისი ოჯახის პირადი საჭიროებისათვის“.

ბ. მე-9 მუხლის „ბ“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 223) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

[9. ოთხფეხი საქონლის გადასახადისაგან ქალაქად განთავისუფლდება . . ]

„ბ) შრომის გმირის ოთხფეხი საქონელი, უკეთუ იგი გამოიყენება შრომის გმირისა და მისი ოჯახის პირადი საჭიროებისათვის“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1936 წ. მარტის 31. № 130/385.

ტფილისი.

# სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

## 76. დადგენილება ს.კ.ს.

**იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.**

სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 მუხლის თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-13 №-ი, მუხ. 115), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაემატოს „ა" კარს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისას „იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1922 წ. მე-15 №-ი, მუხ. 126; 21 №-ი, მუხ. 208; 24 №-ი, მუხ. 256; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 26; 1934 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 35; მე-14 №-ი, მუხ. 138; 25 №-ი, მუხ. 199; 33 №-ი, მუხ. 254; 1935 წ. მე-5 №-ი, მუხ. 32), 36 პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[სანოტარო კონტორები და მათი მონაცვლე ორგანოები (სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 1-ლი მუხლი—საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-16 №-ი, 157) გაუკეთებენ სააღსრულებო წარწერებს შემდეგ დოკუმენტებს:

ა. ფულის გადასახდევინებლად:...]

„36) იმ დოკუმენტებს, რომლებითაც დასტურდება, რომ მუშათა საბინაო სამშენებლო კოოპერაციული ამხანაგობის წევრმა ვადაზე არ შეიტანა გადასახდელი ბინის ძირითადი ღირებულების ანგარიშის მიხედვით (საშუალო და საბოლოო) და გადასახდელი მიმდინარე საექსპლოატაციო ხარჯების დასაფარავად, უკეთუ ამასთანავე წარდგენილია მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერაციული ამხანაგობის წევრის მიერ ამხანაგობის გამგეობისათვის მიცემული ხელწერილის ასლი, ამხანაგობის მოვალე-წევრის პირადი ანგარიშის ამონაწერი და ასლი ამხანაგობის დადგენილებისა სააღსრულებო წარწერის წესით პრეტენზიის გადასახდევინებლად გადაცემის შესახებ იმ თანხის აღნიშვნით, რაც მოვალეს უნდა გადახდეს".

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. აპრილს 13. № 387.

ტფილისი.

დანართი
[იხ. გვ. 163]

# ბ ე გ მ ა

## საქართველოს სსრ-ში 1936 წლის მოსავლის ახალზეთოვანი კულტურებისა და ხუჭუჭა—სელის კონტრაქტაციისა

| რაიონები | სოია სასაქონლო: კონტრაქტ. გეგმა | სოია სასაქონლო: ჩაბარების ნორმ. 1 ჰექტ. ცენტნერ.: კოლმ. | სოია სასაქონლო: ჩაბარების ნორმ. 1 ჰექტ. ცენტნერ.: ერთპიროვ. მეურნ. | სოია სახ-ჯიშფონდისა: კონტრაქტ. გეგმა | სოია სახ-ჯიშფონდისა: ჩაბარ. ნორმ. 1 ჰექტ. ცენტნერ. | არახისი სახჯიშფონდ.: კონტრაქტ. გეგმა | არახისი სახჯიშფონდ.: ჩაბარ. ნორმ. 1 ჰექტ. ცენტნერ. | პერილა სახჯიშფონდ.: კონტრაქტ. გეგმა | პერილა სახჯიშფონდ.: ჩაბარ. ნორმ. 1 ჰექტ. ცენტნერ. | პერილა სასაქონლო: კონტრაქტ. გეგმა | პერილა სასაქონლო: ჩაბარ. ნორმ. 1 ჰექტ. ცენტნერ. | ხუჭუჭა-სელი: კონტრ. გეგმა | ხუჭუჭა-სელი: ჩაბარ. ნორმ. 1 ჰექტ. ცენტნ.: კოლმ. | ხუჭუჭა-სელი: ჩაბარ. ნორმ. 1 ჰექტ. ცენტნ.: ერთპ. მეურ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ახალქალაქის . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 980 | 1,6 | 1,8 |
| 2. ბოგდანოვკის . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 310 | 1,5 | 1,7 |
| 3. გორის . . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 80 | 1,6 | 1,8 |
| 4. ბორჯომის . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 77 | 1,5 | 1,7 |
| 5. წალკის . . . | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 168 | 1,6 | 1,8 |
| 6. ქუთაისის . . | 4860 | 2,6 | 2,9 | 930 | 2,6 | 900 | 3,0 | 100 | 2,0 | — | — | — | — | — |
| 7. სამტრედიის . | 4720 | — | — | — | — | — | — | — | — | 144 | 2,0 | — | — | — |
| 8. ხონის . . . . | 3780 | — | — | — | — | — | — | — | — | 140 | 2,0 | — | — | — |
| 9. ვანის . . . . | 2780 | — | — | — | — | 350 | 2,8 | — | — | 200 | 2,0 | — | — | — |
| 10. ბაღდადის . . | 1500 | 2,4 | 2,7 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 11. ჯუღელის . . | 3730 | 2,6 | 2,9 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 12. ჩხარის . . . | 3990 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 13. ჭიათურის . . | 3650 | 2,5 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 14. ხორაგოულის . | 1780 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 15. ტყიბულის . . | 710 | 1,7 | 2,0 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 16. აბაშის . . . . | 6400 | 2,6 | 2,9 | — | — | 280 | 2,8 | 200 | 2,0 | — | — | — | — | — |
| 17. ცხაკაიას . . . | 5800 | — | — | — | — | 420 | — | 120 | 2,0 | — | — | — | — | — |
| 18. მარტვილის . | 3450 | — | — | — | — | — | — | — | — | 40 | 2,0 | — | — | — |
| 19. ზუგდიდის . . | 2130 | — | — | 780 | 2,6 | 975 | 3,0 | 50 | 2,0 | — | — | — | — | — |
| 20. ხობის . . . . | 3270 | — | — | — | — | — | — | — | — | 80 | 2,0 | — | — | — |
| 21. წალენჯიხის . | 740 | 2,4 | 2,7 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 22 ჩხოროწყუს . . | 1480 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 23 მახარაძის . . | 2050 | 2,6 | 2,9 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 24. ლანჩხუთის . | 3200 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 25. ჩოხატაურის . | 1540 | 2,4 | 2,7 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 26. აჭარის ასსრ . | 730 | 2,6 | 2,9 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 27. აფხაზეთის ასსრ | — | — | — | — | — | — | — | — | — | 120 | 2,0 | — | — | — |
| | 62,290 | 2,5 | 2,8 | 1710 | 2,6 | 2925 | 2,9 | 480 | 2,0 | 720 | 2,0 | 1615 | 1,58 | 1,77 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოხ / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 23. პ/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 1 1/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 21/V ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VI; ტირაჟი 1.900

თავლ. რწმ. № 87054 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. შეკვ. № 548